№05/10
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"4" მარტი 2010 წ.
№ 210020010351330020 90

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №6

2010 წლის 26 თებერვალი
დაბა ხელვაჩაური

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 მაისის №4/7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 4 მაისის №4/7 დადგენილებაში (გაზეთი „აჭარა" №74, 15.05.2007, გვ.13) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3 სატენდერო მოსაკრებელი -150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.";

ბ) დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად დაწესებული სატენდერო მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 150 ლარს.".

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე — როინ მალაყმაძე